

მტკვრის ქუჩაზე ისტორიული ნაშთების კონსერვაცია განხორციელება



კურტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს [კვლევის](#) საფუძველზე გადაწყდა, რომ მტკვრის ქუჩაზე აღმოჩენილი ისტორიული ნაშთების კონსერვაცია კურტურული მემკვიდრეობის წესების დაცვით განხორციელდება.

თბილისის მერიისა და თბილისის განვითარების ფონდის პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში, მტკვრის ქუჩაზე მიმდინარე საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელების რეაბილიტაციის დროს, აგურით ნაშენი წყარშემკვრები საკომუნიკაციო ნაგებობა აღმოაჩინეს. სპეციალისტების თქმით, რომ ეს აგურის კედლის წყობა ისტორიულად შესაძლოა, მე-19 საუკუნის კორექტორი იყოს, რომელიც საკომუნიკაციო სისტემებით მტკვარს უერთდებოდა. სპეციალისტების კვლევით დადგინდა, რომ აგურით ნაშენი ნაგებობის არქეოლოგიურ თვადსაჩინოებად შენარჩუნების ძირითად დამაბრკოლებედ გარემოებას გრუნტის წყდები და საბჭოთა პერიოდში დაზიანებული საკანადიზაციო სისტემა წარმოადგენს. არქეოლოგიური ობიექტის ძირი მუდმივად იფარება წყდით, რაც მის დაჭაობებასა და ანტისანიტარიის კერის წარმოქმნას იწვევს.

დასკვნის მიხედვით, ნაგებობის ნაშთების სრულფასოვანი კვლევის მიზნით წარმოებული მიწის სამუშაოები, მომიჯნავე შენობების (საქართველოს კინემატოგრაფიის ცენტრი, საქართველოს კურტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო) საძირკვდების მოშიშვლებას გამოიწვევს.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მერიისა და თბილისის განვითარების ფონდის პრიორიტეტს თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია, კურორტული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება წარმოადგენს. შესაბამისად, მტკვრის ქუჩაზე ისტორიული ობიექტის შესაძლო საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, ადგილზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები, არქეოლოგის ზედამხედველობის ქვეშ გაგრძელდება. ობიექტის კონსერვაციამდე, არქეოლოგიური ნაშთის ანაზღაურებისა და ფოტო-ფიქსაციის პროცესი ჩატარდება. კონსერვაციის შემდგომ კი, არქეოლოგიური ობიექტის მდებარეობის ადგილზე საინფორმაციო დაფა განთავსდება.